



კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

**კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება**

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2012 წელი, ქ. თბილისი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება.....	3
ტექნიკური დავალება	7
ხელშეკრულების პროექტი	8

საკონკურსო განცხადება

1. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება/დიზაინი და ავეჯის დიზაინი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის ქუჩა) ქ. N8-ში მდებარე სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის (შემდგომში - შენობის) **ცენტრალური შემოსასვლელისა და ვესტიბიულის/ატრიუმის, დიდი საკონფერენციო დარბაზისა და 2 სამუშაო ოთახის (მენეჯერის ოთახი და 6-8 თანამშრომელზე გათვლილი საერთო სამუშაო სივრცის მქონე ოთახი)** ინტერიერის გადაწყვეტის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შენობის ინტერიერის მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობის **ცენტრალური შემოსასვლელისა და ვესტიბიულის/ატრიუმის, დიდი საკონფერენციო დარბაზისა და 2 სამუშაო ოთახის (მენეჯერის ოთახი და 6-8 თანამშრომელზე გათვლილი საერთო სამუშაო სივრცის მქონე ოთახი)** ინტერიერის არქიტექტურული კონცეფცია. გამარჯვებულად გამოვლენილმა კონკურსანტმა, რომელთანაც დაიდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, უნდა უზრუნველყოს შენობის ინტერიერის მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს შენობის ინტერიერის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.
4. შენობის ინტერიერი უნდა გადაწყდეს თანამედროვე და სადა, ე.წ. *high tech* სტილში, შუშის და სარკის შესაძლოდ მაქსიმალური გამოყენებით. ეს განსაკუთრებით ეხება შენობის მთავარ შესასვლელსა და მის ვესტიბიულს/ატრიუმს, რომლის სივრცითი მოწყობა უნდა იყოს მაქსიმალურად ღია, გამჭვირვალე და მსუბუქი. შენობის ინტერიერში გათვალისწინებული უნდა იყოს სააგენტოს საქმიანობისა და კორპორაციული სტილის ამსახველი ელემენტები და ფერები. ინტერიერში გამოყენებული ფერების ნაირსახეობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური.
5. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარს დღგ-ს გარეშე**. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს დღგ-ს გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული კონკურსანტი იქნება დღგ-ს გადამხდელი, მის მიერ წარმოდგენილ წინადადების ფასს დაერიცხება დღგ და ეს თანხა გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში.
6. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge/>).

7. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-6 ან მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
11. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 13 აგვისტოს და მთავრდება **2012 წლის 20 აგვისტოს 17:00 საათზე**. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №28.
12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული **მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ**, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
14. დასაშვებია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება საბანკო დაწესებულების მიერ.
15. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს:
 - ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის არანაკლებ სამი არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად). აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით
 - ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
 - ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
 - რეკვიზიტები.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შენობის ცენტრალური შემოსასვლელისა და ვესტიბიულის/ატრიუმის, დიდი საკონფერენციო დარბაზისა და 2 სამუშაო ოთახის (მენეჯერის ოთახი და 6-8 თანამშრომელზე გათვლილი საერთო სამუშაო სივრცის მქონე ოთახი) ინტერიერის კონცეფციას და კონცეფციის განმარტებითი ბარათს. კონცეფცია სულ ცოტა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მუშა ნახაზები და 3D ვიზუალიზაცია რეალური ფერებითა და მასალებით;
- ავეჯის გაბარიტული ზომები და სამუშაო ნახაზები;
- ჭრილები და კედლის განშლები;
- ელექტრო და სუსტი დენების დაქსელვის გეგმა;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციები;
- იატაკების მოპირკეთების სქემა;
- ჭერის სქემა ელექტრობის წერტილების მითითებით.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს საბოლოო დოკუმენტაცია იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს შენობის ინტერიერის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად. საბოლოო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს მთლიანი შენობის ინტერიერის მოწყობისათვის აუცილებელი სამუშაოებისათვის საჭირო შემდეგ ინფორმაციას:

- მთლიანი ინტერიერის მუშა ნახაზები და 3D ვიზუალიზაცია რეალური ფერებითა და მასალებით;
- ავეჯის გაბარიტული ზომები და სამუშაო ნახაზები;
- ჭრილები და კედლის განშლები;
- ელექტრო და სუსტი დენების დაქსელვის გეგმა;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციები;
- იატაკების მოპირკეთების სქემა;
- ჭერის სქემა ელექტრობის წერტილების მითითებით;
- გათბობა/კონდიციონერება/ვენტილაციის მოწყობა და მუშა ნახაზები;
- სანტექნიკური კვანძების მოწყობა და მუშა ნახაზები;
- შენობის ინტერიერის მოწყობის პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა;
- შენობის მიმდებარე ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარებისა და კეთილმოწყობის გეგმა და მუშა ნახაზები, წყლის გადაყვანისა და სანიაღვრეების დატანით;
- მოქმედი სამშენებლო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია.

16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (22800 ლარი) არ განიხილება.

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შენობის ინტერიერის მოწყობის კონცეფცია: კოეფიციენტი – 0.7
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიანიჭებული ქულა.

18. საკონკურსო კომისიას შეუძლია დისკვალიფიკაცია გაუკეთოს იმ საკონკურსო წინადადებას, რომლის კონცეფცია მიუღებელი იქნება ესთეტიკური და კონცეპტუალური თვალსაზრისით.
19. საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაციის წარმოდგენა გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 60 დღისა.
20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საბოლოო დოკუმენტაციაში.
21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. პროექტის მიმდინარეობის განხილვა შემსყიდველთან უნდა მოეწყოს არანაკლებ კვირაში ერთხელ.
22. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული სახით.
23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
24. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: კონსტანტინე გუგეშაშვილი, ტელ: 577244426; ალექსი ზაიცევი, ტელ: 577 244428; ქ. თბილისი, პეკინის ქ. №28.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის) ქ. N8-ში მდებარე 3 სართულიანი შენობის მთლიანი შიდა ინტერიერის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურება (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი).

შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 2088.31 კვ.მ. აქედან სარდაფის ფართია 140.35 კვ.მ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები, დღგ-ს გარდა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

შენობის ინტერიერის მოწყობის საბოლოო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა იმდამდეგად უნდა იყოს შედგენილი, რომ ინტერიერის მოწყობის სამუშაოების განხორციელების ღირებულება არ აღემატებოდეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარს.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

ქ. თბილისი

— 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ტატო ურჯუმელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, — (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი — სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის რიჩარდ ჰოლდბრუკის (ყოფილი ბაღდათის ქუჩა) ქ. N8-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი) სახელმწიფო შესყიდვა. (79900000 – CPV)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——— ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ———.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, პეკინის 28.

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის ———.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს ———.
- 7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
- 7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
- 8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის --- — და მოქმედებს 2012 წლის ————— ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტო
მის: ქ. თბილისი, პეკინის 28
საიდენტიფიკაციო კოდი 204428510
ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა # GE52BR0000010591718543

მიმწოდებელი:

სააგენტოს თავმჯდომარე
ტატო ურჯუმელაშვილი